



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება



MES 6 20 00328859



03/04/2020

**უმაღლესი განათლების სწავლის დეტალური სფეროების განსაზღვრის შესახებ, რომლის ფარგლებში შემავალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაც, აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით, შეუძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2020 წლის პირველი აპრილის №324570 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №205 დადგენილების (შემდგომში - საქართველოს მთავრობის №205 დადგენილება) მე-3 მუხლის მე-3 - მე-5 პუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. განისაზღვროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული შემდეგი უმაღლესი განათლების სწავლის დეტალური სფეროები (კოდის მითითებით), რომლის ფარგლებში შემავალ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს მიმდინარე აკრედიტაციის ვადა ეწურებათ საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და რომელთა შეფასებაც, აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით შეუძლებელია განხორციელდეს დისტანციურად:

- 1.1. სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება (0112);
- 1.2. მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციის გარეშე (0113);
- 1.3. მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით (0114);
- 1.4. აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება (0211);
- 1.5. მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი (0212);
- 1.6. სახვითი ხელოვნება (0213);

- 1.7. გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა) (0214);
- 1.8. მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება (0215);
- 1.9. ენის დაუფლება (0231);
- 1.10. ენები-არაკლასიფიცირებული (0239);
- 1.11. ინტერდისციპლინური – მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს (0288);
- 1.12. ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა (0321);
- 1.13. ბიოლოგია (0511);
- 1.14. ბიოქიმია (0512);
- 1.15. გარემოსმცოდნეობა (0521);
- 1.16. ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება (0522);
- 1.17. ქიმია (0531);
- 1.18. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (0532);
- 1.19. ფიზიკა (0533);
- 1.20. მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება (0612);
- 1.21. პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი (0613);
- 1.22. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები – არაკლასიფიცირებული (0619);
- 1.23. ქიმიური ინჟინერია და პროცესები (0711);
- 1.24. გარემოს დაცვის ტექნოლოგია (0712);
- 1.25. ელექტრობა და ენერჯია (0713);
- 1.26. ელექტრონიკა და ავტომატიზაცია (0714);
- 1.27. მექანიკა და ლითონის საქმე (0715);
- 1.28. ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები (0716);
- 1.29. ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული (0719);
- 1.30. სურსათის გადამამუშავება (0721);
- 1.31. მასალები (ხე, ქაღალდი, პლასტმასი, მინა) (0722);
- 1.32. ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი) (0723);
- 1.33. სამთო საქმე და მოპოვება (0724);
- 1.34. არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება (0731);
- 1.35. მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია (0732);
- 1.36. არქიტექტურა და მშენებლობა – არაკლასიფიცირებული (0739);
- 1.37. ინტერდისციპლინური – მოიცავს ინჟინერიას, წარმოებას და მშენებლობას (0788);
- 1.38. მემცენარეობა და მეცხოველეობა (0811);
- 1.39. მეზღვეობა (0812);
- 1.40. მეტყევეობა (0821);
- 1.41. ვეტერინარია (0841);
- 1.42. ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარია (0888);
- 1.43. დენტალური მედიცინა (0911);
- 1.44. მედიცინა (0912);
- 1.45. საექთნო და სამეანო საქმე (0913);
- 1.46. თერაპია და რეაბილიტაცია (0915);
- 1.47. ფარმაცია (0916);
- 1.48. სოციალური მუშაობა და კონსულტაცია (0923);
- 1.49. სპორტი (1014);
- 1.50. მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება (1015);
- 1.51. პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (1022);
- 1.52. სამხედრო საქმე და თავდაცვა (1031);
- 1.53. ადამიანებისა და საკუთრების დაცვა (1032);
- 1.54. ტრანსპორტის მომსახურებები (1041).

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, საქართველოს მთავრობის №205 დადგენილების საფუძველზე, მიმდინარე აკრედიტაციის ვადა გაუხანგრძლივდათ საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე, გარდა იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომელთა მიმართებითაც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიღებული აქვს აკრედიტაციასთან დაკავშირებული რომელიმე გადაწყვეტილება ან რომლებსაც საქართველოს მთავრობის №205 დადგენილების ამოქმედებამდე (2020 წლის 30 მარტამდე) უკვე ამოეწურათ მიმდინარე აკრედიტაციის ვადა და ამ ვადის ამოწურვისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ცენტრში აღნიშნულ პროგრამაზე არ ჰქონდა წარდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი.

3. დაევალოს ცენტრის სტრატეგიული კომუნიკაციისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციის სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.

4. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრი

დირექტორი

მახარაშვილი თამარ

